



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მამიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება

N1 საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: ამირან ხიმშიაშვილი

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: ქეთევან ღვანიძე

კვების დარგში ექსპერტი: ია იაკობიძე

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: მარიამ გელხვიძე



ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	244973187
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	N1 საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში)	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება



2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	ქ. ხონი, პ. კაკაბაძის 17
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	ქალაქი ხონი, ქუჩა შამათავას, N 14
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი <i>(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)</i>	MES 1 25 0001162702 , 17/09/2025
ვიზიტის პერიოდი <i>(თარიღი)</i>	8-9 ოქტომბერი, 2025 წელი
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	

წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ					
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული <i>“ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი”</i> -ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.					
N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“	ქართული		90 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ არ ეთანხმება ☐

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მადიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების N1 საბავშვო ბაღში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 8-9 ოქტომბერს. დაწესებულებისთვის წინასწარვე იყო ცნობილი დღის წესრიგი. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გამოცხადდა დროულად, ყველა პროცესი წარიმართა გეგმიურად, განსაზღვრული დღის განრიგის შესაბამისად, თანამშრომლობით და კეთილგანწყობილ გარემოში. შეფასების დროს, ექსპერტთა ჯგუფისა და სტატუსის მადიებლის შეფასება ძირითადად არ დაემთხვა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის, 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება, 4.3. მატერიალური რესურსი, 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი, 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება - კომპონენტებთან მიმართებაში, რისთვის გარკვეულ ინდიკატორებზე დაწესებულებას წარმოდგენილი ქონდა რელევანტური შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არსებული შეუსაბამოების აღმოსაფხვრელად.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მადიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებას აქვს კარგი თანამშრომლობის პრაქტიკა სხვადასხვა აქტორებთან, რომელიც თანამშრომელთა შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობისკენ არის მიმართული. მიმდინარე წელს, საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებამ მოიპოვა „მწვანე ჯილდო 2025“, რომელიც გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ განხორციელდა. „მწვანე ჯილდოს“ კონკურსის ფარგლებში, საბავშვო ბაღის აღმზრდელმა/მეთოდისტებმა განახორციელეს აქტივობები გარემოსდაცვითი და აგრარული თემების მიმართულებით.

.....
.....
.....



.....
.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....
.....

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა (ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.)		
2. კურიკულუმი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



4.3. მატერიალური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები ასახულია (ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის №27.60251814 ბრძანებით დამტკიცებულ 2025-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში, რომელიც წარმოდგენილია დანართი N1-სახით.

მისია შემდეგნაირად ჟღერს: „ხონის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების მისიაა ვუზრუნველყოთ აღსაზრდელთა განვითარება ჰოლისტური მიდგომებით, უსაფრთხო, ხელმისაწვდომ გარემოში ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით, თამაშზე დაფუძნებული სწავლებით და აღსაზრდელთა ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინებით, ღირებულებებზე დაფუძნებული მიდგომებით, მშობლების, თემის და საზოგადოების ჩართულობით, არამატერიალური, მოწესრიგებულ, მრავალფეროვანი რესურსებით აღჭურვილ გარემოში, სადაც ბავშვი აღიარებულია, როგორც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მთავარი მონაწილე“.

დაწესებულების მისია შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან, ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და მიზნად ისახავს შექმნას ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



.....
.....
.....
რჩევა

.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისიიდან გამომდინარე დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები, რომელიც ასახულია (ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის №27.60251814 ბრძანებით დამტკიცებულ 2025-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში, რომელიც წარმოდგენილია დანართი N1-სახით. დაწესებულების ხედვაა: „2030 წლისათვის ხონის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღები არიან წარმატებული დაწესებულებები, გვაქვს სრულყოფილად აღჭურვილი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო, გამართული ინფრასტრუქტურა, გვყავს მაღალკვალიფიციური და საკმარისი ადამიანური რესურსები“.

დაწესებულების ღირებულებებია:

- ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობა და გუნდურობა;
- სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვა;
- თანასწორობის და სამართლიანობის პრინციპის არსებობა;
- სიახლეებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების მიმდებლობა;



- გამჭვირვალობა, ღიაობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა.

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს და გამომდინარეობს მისიიდან. ხედვაში ჩანს თუ რა მიმართულებით მიდის დაწესებულება, არის მარტივი და გასაგები, ჩანს დროის პერიოდი, თუ რამდენ ხანში აპირებს დაწესებულება ხედვაში გაცხადებულ სასურველი მდგომარეობის მიღწევას.

ღირებულებებში გადმოცემულია ის პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც გეგმავს დაწესებულება მისიაში გაცხადებული მიზნების მიღწევას. ჩანს ბაღში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა, რომელთა დაცვითაც მუშაობენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების წესი ასახულია ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის №27.60251716 ბრძანებით დამტკიცებულ „სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესში“, სადაც განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს (ქვეპროცესებს):

- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების/გაზიარების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების/გაზიარების/დამტკიცების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანის პროცესი;
- სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი.

დაგეგმვის/შემუშავების პროცესში ჩართული არიან შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

- ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები;
- სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები;
- მშობელი/კანონიერი წარმომადგენლები;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი.

დაწესებულებამ უზრუნველყო მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც დასტურდება ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის №27.60251765 ბრძანებით დამტკიცებულ ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ-შემდეგი შემადგენლობით:

- 1.1 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი;
- 1.2 ხონის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
- 1.3 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილე;

- 1.4 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში;
 - 1.5 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციის უფროსი;
 - 1.6 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების იურისტი;
 - 1.7 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N3 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე;
 - 1.8 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N3 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი;
 - 1.9 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N3 საბავშვო ბაგა-ბაღის მშობელი;
 - 1.10 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N1 საბავშვო ბაღის გამგე;
 - 1.11 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N1 საბავშვო ბაღის აღმზრდელი;
 - 1.12 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N1 საბავშვო ბაღის მშობელი;
 - 1.13 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე;
 - 1.14 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი;
 - 1.15 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის მშობელი;
 - 1.16 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N1 საბავშვო ბაღის მწე;
 - 1.17 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის მწე;
 - 1.18 ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N3 საბავშვო ბაგა-ბაღის მწე
- სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველ მტკიცებულებად წარმოდგენილია 2025 წლის 26 ივნისის N1 და 2025 წლის 27 ივნისის კრების ოქმი N2, რომელიც ასახავს სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის №27.60251716 ბრძანებით დამტკიცებულ „სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესში“ განსაზღვრულია, რომ მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- სოციალური მედია;
- საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები და ა.შ)
- ბეჭდვითი მასალები

გარდა განსაზღვრული საკომუნიკაციო არხებისა, გამოიყენება შემდეგი გაზიარების მექანიზმები:



- მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება ბეჭდურ მასალებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გაერთიანების სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში;
- მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება გაერთიანების/ სტრუქტურული ერთეულის ბაღის შენობაში საინფორმაციო დაფაზე;
- მისია, ხედვა და ღირებულებები გაჟღერებული იქნება გაერთიანებაში/ბაღებში დაგეგმილ შეხვედრებზე, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომლებიც ორგანიზებული იქნება გაერთიანების/ბაღის მიერ.

დაწესებულების მხრიდან მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული იქნა 2025 წლის 20 ივნისს, ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე. (სანახავად ეწვიეთ: <https://www.facebook.com/share/p/1BaaGiUwRB/>)
მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოკრულია N1 საბავშვო ბაღის თვალსაჩინო ადგილას, საინფორმაციო დაფაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N1 - ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის Nბ27.60251814 ბრძანებით დამტკიცებული 2025-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. დანართი N2 - ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის Nბ27.60251716 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
3. დანართი N19 - ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის Nბ27.60251765 ბრძანება ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ;
4. დანართი N20 - მისია, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N1 და ოქმი N2 .
5. საინფორმაციო დაფა
6. მისია, ხედვა და ღირებულებების ფეისბუქ გვერდზე გაზიარების ლინკი: <https://www.facebook.com/share/p/1BaaGiUwRB/>

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელს წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის N827.60251716 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ დანართი N2 სახით. აღნიშნულ წესში განსაზღვრულია და არეგულირებს შემდეგ საკითხებს:

- სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპები;
- სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;
- პროცესში ჩართული მხარეები, პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, გაზიარებისა და დამტკიცების პროცესი;
- სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა და გაზიარება;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შეფასება.

დაგეგმვის პროცესში ჩართული არიან შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

- ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები;
- სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები;
- მშობელი/კანონიერი წარმომადგენლები;

დაწესებულებამ უზრუნველყო სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც დასტურდება ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის Nბ27.60251765 ბრძანებით დამტკიცებულ ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანებით - შემდეგი შემადგენლობით:

1. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი;
2. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
3. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილე;
4. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში;
5. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციის უფროსი;
6. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების იურისტი;
7. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N3 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე;
8. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N3 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი;
9. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N3 საბავშვო ბაგა-ბაღის მშობელი;
10. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N1 საბავშვო ბაღის გამგე;
11. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N1 საბავშვო ბაღის აღმზრდელი;
12. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N1 საბავშვო ბაღის მშობელი;
13. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე;
14. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი;



15. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის მშობელი;
16. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N1 საბავშვო ბაღის მწე;
17. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის მწე;
18. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის, ქალაქის N3 საბავშვო ბაგა-ბაღის მწე.

სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველ მტკიცებულებად წარმოდგენილია 2025 წლის 26 ივნისის N1 და 2025 წლის 27 ივნისის კრების ოქმი N2, რომელიც ასახავს სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის Nზ27.60251814 ბრძანებით დამტკიცებული 2025-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.

წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის ხუთწლიანი და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. სტრატეგიული გეგმის ციკლორობა დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ჩანაწერებით, შემუშავების პროცესის, პერიოდულობის, მონიტორინგისა თუ შეფასების მექანიზმის განსაზღვრით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

- სასურველია, რომ დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმარებისას მიზნები და ამოცანები გამიჯნოს ერთმანეთისგან. მიზანშეწონილია, რომ მიზანმა მოიცვას ფართო, მაგრამ კარგად განსაზღვრული მიმართულება და შინაარსობრივად მსგავსი მიზნები და ამოცანები ერთიან მიზნად ან/და ამოცანად ფორმულირდეს. მხედველობაში მიიღოს, რომ მიზანი არის შედარებით ზოგადი ტიპის განაცხადი, რომელიც ასახავს ბაღის გრძელვადიან მისაღწევ შედეგს, იდენტიფიცირებული კონკრეტული გამოწვევის/პრობლემის გადაჭრის მიზნით. ამოცანა არის უფრო ვიწრო ასპექტის განაცხადი, ბაღის საქმიანობის კონკრეტული მიმართულებისთვის, რომელიც პრობლემის გამომწვევ ფაქტორს უკავშირდება და რომელიც საშუალოვადიან პერიოდში მიისწრაფის მიზნის მიღწევისკენ. მაგალითად:

- სტრატეგიული მიზანი N5.2 საგანმანათლებლო პერსონალის კვალიფიკაციების ამაღლება; ამოცანა-საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციების ამაღლება;
- სტრატეგიული მიზანი N5.4 ოჯახისა და თემის ჩართულობის უზრუნველყოფა; ამოცანა-ოჯახისა და თემის ჩართულობის უზრუნველყოფა.

ბაღის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყოველდღიური რუტინული აქტივობები, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასა და ბავშვის ფიზიკურ განვითარებასა და უსაფრთხოებასთან თუ ის არსებით განახლებას ან სიახლეს არ ეფუძნება, სასურველია რომ არ იყოს ასახული მიზნებისა და ამოცანების ნაწილში. მაგალითად: სტრატეგიული მიზანი N1 - ხარისხიანი საადმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა-კურიკულუმის შერჩევა/დაგეგმვა/გაზიარება და მისი ამოცანა N1 - საუკეთესო მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შემუშავებული იქნეს სასწავლო საადმზრდელო კურიკულუმი ყველა საბავშვო ბაღის, მშობლების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

- სასურველია, სამუშაო ჯგუფის წევრთა რაოდენობა არ აღემატებოდეს 15 ადამიანს, რათა დიდი ჯგუფის მართვა შეიძლება უფრო მეტად ქაოტური და არაპროდუქტიული იყოს. გამომდინარე იქიდან, რომ სამუშაო ჯგუფის ფორმატში მიმდინარეობს კონკრეტული დოკუმენტის დამუშავება, მნიშვნელოვანია ჯგუფის ზომა იყოს მართვადი, ამიტომ არაა რეკომენდებული გაერთიანებაში შემავალი ყველა ბაღის წარმომდგენლის ჩართულობა სამუშაო ჯგუფში. მიზანშეწონილია, შემდგომი სტრატეგიული განვითარების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა ამ პრინციპის დაცვით განხორციელდეს.
- სასურველია სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ შეხვედრების შესახებ, სამუშაო ჯგუფის წევრებს წინასწარ აცნობოს და გაუგზავნოს შესაბამისი დღის წესრიგი, რომელიც იქნება შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურებული.
- გამომდინარე იქედან, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავება მოიცავს რამდენიმე ეტაპს, სასურველია, რომ აღნიშნული ეტაპები სამუშაო ჯგუფის მიერ თანმიმდევრულად განხორციელდეს, რომელიც უნდა მოიცავდეს სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე გონივრულ პერიოდს და შექმნილი იყოს სამუშაო ჯგუფის მუშაობასთან დაკავშირებული მტკიცებულებები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მადიებლის საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენისას არ ქონდა შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რისთვისაც წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავდა 31.07.2025-31.09,2025 პერიოდს. წარმოდგენილი გეგმა იყო რელევანტური, განსაზღვრული იყო შეუსაბამოების აღმოსაფხვრელი აქტივობები, შესაბამისი რესურსები და პასუხისმგებელი პირი/პირები. გამომდინარე იქედან, რომ ხონის N1 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 8 და 9 ოქტომბერს და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული პერიოდი უკვე გასულ იყო, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა და დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 26 სექტემბრის N27.60256910 ბრძანებით დამტკიცებული N1 საბავშვო ბაღის 2025-2026 სასწავლო-სააღმზრდელო წლის სამოქმედო გეგმა.

წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში არ არის შესაძლებელი იდენტიფიცირება თუ დროის რა პერიოდს მოიცავს სამოქმედო გეგმა (კალენდარულ წელს/სასწავლო წელს/ფისკალურ წელს ან სხვა) და არ ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ, სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი მიზნები:

1. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
2. საგანმანათლებლო პერსონალის კვალიფიკაციების ამაღლება;
3. ხარისხიანი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა - კურიკულუმის შერჩევა/დაგეგმვა/გაზიარება;

4. ოჯახისა და თემის ჩართულობის უზრუნველყოფა;

5. ბავშვის ჯანმრთელობის, სიცოცხლის და ძალადობისაგან დაცვის უზრუნველყოფა.

წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში კი განსაზღვრული მიზნები (N1 კომპონენტი-საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა და უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მოწესრიგება და კეთილმოწყობა, N2 კომპონენტი - მცირე სარემონტო სამუშაოები, წყალანირების მოწესრიგება სამზარეულოში, N3 კომპონენტი-კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროფესიული ტრენინგები, კომპონენტი N4-შერჩეული კურიკულუმის გაზიარება და შესაბამისი გეგმის დასახვა, N5 კომპონენტი-მშობლებისა და თემის ჩართულობა) და ამოცანები არ ემთხვევა სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს.

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის Nბ27.60251716 ბრძანებით დამტკიცებულ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ მე-11 მუხლის ე) პუნქტში აღნიშნულია, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ვადა განსაზღვრულია თვეების ჭრილში, თუმცა წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში არ არის იდენტიფიცირებული კონკრეტული აქტივობის განხორციელების პერიოდი თვეების მიხედვით. ამავე წესის მე-13 მუხლის (სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება) მე-4 პუნქტში განსაზღვრულია, რომ გაერთიანება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს წელიწადში 2 ჯერ, ხოლო შეფასებას წლიურად. წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში შეფასების თარიღად მითითებულია 2026 წლის ივნისი, რაც წინააღმდეგობაში მოდის მე-11 მუხლის (სამოქმედო გეგმის შემუშავება) პირველ პუნქტთან, სადაც აღნიშნულია, რომ სამოქმედო გეგმა დგება ერთი წლის ვადით და ემთხვევა სასწავლო წელს.

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ სამოქმედო გეგმა შედგა უშუალოდ N1 საბავშვო ბაღის მიერ, გაერთიანებასთან შეთანხმებით, რაც წინააღმდეგობაში მოდის „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესთან“ (ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის Nბ27.60251716 ბრძანებით დამტკიცებული), სადაც აღნიშნულია, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (მუხლი 7. პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.



რეკომენდაცია

- დაწესებულებამ უზრუნველყოს ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის №27.60251716 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც შედგება ერთ წლიანი პერიოდისთვის და ემთხვევა სასწავლო წელს.
- სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები დააფუძნოს სტრატეგიულ განვითარების გეგმას და უზრუნველყოს მისი შემუშავება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც დაეფუძნება სტატუსის მამიებლის მიერ შემუშავებულ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესს“ (ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის №27.60251716 ბრძანებით დამტკიცებული)

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ, ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა არის რელევანტური და უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სამოქმედო გეგმა მოიცავს სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებულო კომპონენტებს (მიზანი, ამოცანა, განსახორციელებელი აქტივობები, ინდიკატორები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადა), თუმცა არ მოიცავს სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამის აქტივობებს და არ მოდის თანხვედრაში სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები არის ბუნდოვანი და არ იძლევა კონკრეტული აქტივობების შესახებ ზუსტ ინფორმაციას. აქტივობათა ინდიკატორები არ არის გაზომვადი და არ არის ფორმულირებული ხარისხობრივი ან/და რაოდენობრივი მაჩვენებლებით. აქტივობები არ არის გაწერილი თვეების მიხედვით, შესაბამისად ბუნდოვანია იმის განსაზღვრა, თუ წელიწადის რა პერიოდში აპირებს კონკრეტული აქტივობის/აქტივობების განხორციელებას დაწესებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- დაწესებულებამ შეიმუშავოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელიც დაეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას, განსაზღვრული იქნება აქტივობათა განხორციელების კონკრეტული პერიოდი და გაზომვადი ინდიკატორები რაოდენობრივ ან/და ხარისხობრივ ჭრილში.

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ, ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა არის რელევანტური და უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის №27.60251716 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“. ამ წესის მე-13 მუხლში (სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება) გასწავლულია, რომ:

- სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5 წელს) და ბოლოს.
- სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასების პროცესში ვლინდება ზუსტი საჭიროებები. გაერთიანებას საშუალება ეძლევა, საჭიროების შემთხვევაში, დააკორექტიროს მიზნები. საბოლოო შეფასება ტარდება სტრატეგიის დასრულებამდე არაუგვიანეს 6 თვისა, რაც გაერთიანებას საშუალებას აძლევს შესაძლებელი გახდეს შედეგების გამოყენება შემდგომი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.
- გაერთიანება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს წელიწადში 2 ჯერ, ხოლო შეფასებას წლიურად.
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.



- სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ხოლო შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.
- სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები გაერთიანებას აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს ბალი იყენებს შემდგომი განვითარებისათვის.

გამომდინარე იქედან, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის №27.60251814 ბრძანებით 2025 წლის 20 ივნისს, ხოლო სამოქმედო გეგმა 2025 წლის 26 სექტემბერს (N27.60256910 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების N1 საბავშვო ბაღის 2025-2026 სასწავლო-სააღმზრდელო წლის სამოქმედო გეგმა) სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პერიოდი ჯერ არ დამდგარა, შესაბამისად დაწესებულებას არ აქვს შექმნილი მტკიცებულებები ამ ნაწილში. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის №27.60251716 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს თანახმად, აკადემიური წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის და 2.5 წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. სამოქმედო გეგმის ანგარიში ყალიბდება ნარატიული ფორმით. გაერთიანება უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ შედიოდა სამოქმედო გეგმაში და სტრატეგიულ გეგმაში. მაგ: წარმოადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, განათავსოს სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა, გაამდიდროს ინფორმაცია ინტერვიუებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ა.შ. ანგარიშ(ებ)ი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. ანგარიშ(ებ)ის გაზიარებისთვის ასევე გამოიყენება განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები:

- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- სოციალური მედია;
- საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები და ა.შ.);
- ბეჭდვითი მასალები

მუხლი 13 - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება - აღნიშნულია, რომ სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ასევე, შეფასების შედეგები გაერთიანებას აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს ბალი იყენებს შემდგომი განვითარებისათვის.

ზომით აღნიშნული წესის შესაბამისად, გამომდინარე იქედან, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის Nზ27.60251814 ბრძანებით 2025 წლის 20 ივნისს, ხოლო სამოქმედო გეგმა 2025 წლის 26 სექტემბერს N27.60256910 ბრძანებით, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდი ჯერ არ დასრულებულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N1 - ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის Nზ27.60251814 ბრძანებით დამტკიცებული 2025-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. დანართი N2 - ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის Nზ27.60251716 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“;
3. 2025 წლის 26 სექტემბერის ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის N27.60256910 ბრძანებით დამტკიცებული N1 საბავშვო ბაღის 2025-2026 სასწავლო-სააღმწერდელი წლის სამოქმედო გეგმა;
4. დანართი N20 -სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N1
5. დანართი N20 - სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2
6. ინტერვიუ

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

³მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.



კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“

სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შერჩეული კურიკულუმით „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში – მეთოდური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ნაწილი I , „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ნაწილი I I, „სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში აქტივობათა კრებული I “ და „სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში აქტივობათა კრებული II“. კურიკულუმები დამტკიცებულია „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის N ბ27.6025190001 ბრძანებით. დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმები დამტკიცებულია გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულში შემავალ ყველა საბავშვო ბაღის ასაკობრივი ჯგუფებისთვის, ბრძანებაში არ იდენტიფიცირდება კონკრეტული საბავშვო ბაღები და მათი ნომრები.

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული კურიკულუმების შერჩევის ამსახველი დოკუმენტაცია: „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 03 ივლისის Nბ27. 6025184001 ბრძანება კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის დამტკიცებასთან

დაკავშირებით და ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები (04.07.2025წ. N 3; 08.07.2025წ. N 4), რომელიც განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის მიერ განხილულ კურიკულუმებს და მათგან ზემოაღნიშნული კურიკულუმების არჩევის მიზეზებსა და მიზნებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ასევე 2025 წლის 14 ივლისის N6 კრების ოქმი. შეხვედრას ესწრებოდნენ ააიპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი N1 საბავშვო ბაღის გამგე, საგანმანათლებლო პერსონალი და მშობლები, დღის წესრიგის ძირითად საკითხად კი განსაზღვრულ იქნა კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული კურიკულუმების გაცნობა-გაზიარება. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად კრებაზე განხილული იქნა შერჩეული კურიკულუმები და მათი შერჩევის კრიტერიუმები. ააიპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილემ მეთოდურ დარგში, ისაუბრა შერჩეული კურიკულუმის მიზნებზე, ფიზიკური გარემოს მოწყობაზე, საჭირო რესურსებსა და მშობლების ჩართულობაზე, კურიკულუმიდან გამომდინარე გასათვალისწინებელ სხვადასხვა აქტივობებსა თუ პროექტებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....
.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

სასურველია, ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის კურიკულუმების დამტკიცების ბრძანებაში (09.07..2025წ. N ბ27.602519001) ბრძანების დანართად განისაზღვროს კონკრეტული საბავშვო ბაგა-ბაღები, რომლებისთვისაც დამტკიცდა შერჩეული კურიკულუმები.

.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ორიენტირებულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებზე, რაც გულისხმობს თამაშზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით და ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას. ბავშვისთვის მრავალფეროვანი, ასაკისა და განვითარების შესაბამისი საქმიანობების დაგეგმვითა და ორგანიზებით მრავალმხრივი, ინტეგრირებული, განვითარებაზე დაფუძნებული გამოცდილებების შეთავაზებას, რომელიც ითვალისწინებს ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და უნარებს. აღნიშნული კურიკულუმები მოიაზრებს შემეცნებითი გარემოს ორგანიზებას, რომელიც ბავშვისთვის ხელმისაწვდომი და უსაფრთხოა, იგი ხელს უწყობს ბავშვის ინტერაქციას, დამოუკიდებლობასა და შემოქმედებითობას, უწყვეტი დაკვირვების და შეფასების პროცესს, რაც საგანმანათლებლო პერსონალს აძლევს შესაძლებლობას, მუდმივად თვალყური ადევნოს ბავშვის პროგრესს და მიზნობრივად დაგეგმოს შემდგომი აქტივობები. დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ხელს უწყობს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მონაწილეობას და ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში, საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების ოჯახებსა და თემთან აქტიურ თანამშრომლობას, როგორც ბავშვებთან შედეგიანი მუშაობის მნიშვნელოვან ელემენტს.

„ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში – მეთოდური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის გამოყოფს ორ მთავარ მიზანს, ესენია: ჯგუფის ერთობა და კვლევა–აღმოჩენა. მიუხედავად ამ ორი მიზნისა კურიკულუმი ბავშვების მრავალმხრივ, ჰოლისტურ განვითარებას ისახავს მიზნად. აღნიშნული კურიკულუმი ხელს უწყობს ბავშვების კომუნიკაციური, ენობრივი, ადაპტური, მოტორული და სხვა კომპეტენციების ცოდნისა და უნარების განვითარებას, რაც თავის მხრივ ბავშვების სოციალური, ემოციური და მაღალი აზროვნებითი კომპეტენციების განვითარებას უკავშირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე ერთი მხრივ, მითითებული კურიკულუმი ხელს უწყობს სახელმწიფო სტანდრტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, რაც ნიშნავს, რომ არის ბავშვების კეთილდღეობის გარანტი, აძლევს ბავშვს არჩევანის თავისუფლებას და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების საშუალებას და მეორე მხრივ შერჩეული კურიკულუმი არის სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევის საშუალება.

„სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში სწავლისა და განვითარებისთვის“ მოიცავს რამდენიმე მიზანს. ეს მიზნებია:

- განუვითაროს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარები;
- დაეხმაროს ბავშვს საუკეთესო არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში;
- ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს;
- მოამზადოს ბავშვი პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის;
- შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც გულისხმობს ბავშვის ინტერესებსა და უნარებზე დაფუძნებულ სწავლას, სადაც ბავშვი არა მხოლოდ მიმღები, არამედ პროცესის თანაავტორია. კურიკულუმი ხელს უწყობს თამაშითა და ექსპლორაციით სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს ბავშვს დამოუკიდებლად აღმოაჩინოს, შეისწავლოს და განივითაროს ცოდნა და უნარები. აღნიშნული კურიკულუმი ხელს უწყობს ასევე ბავშვის ინიციატივის გამოხატვასა და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას, ბავშვის სოციალურ ინტერაქციაში ჩართულობას, შემოქმედებითი

აზროვნების, კითხვებისა და ჰიპოთეზების წამოჭრის წახალისებას, სწავლის პროცესში თვითგამოხატვის მრავალ ფორმას და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს.

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა უფროსის მხრიდან ბავშვის მიერ ინიცირებული თამაშის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ბავშვის მიერ არჩეულ თავისუფალ თამაშს, როცა ის ხალისობს და იღებს სიამოვნებას. ასეთი თამაშის დროს საგნები, ქმედებები და სიტუაციები ჩვეულ მნიშვნელობას კარგავს და იძენს ახალს, ბავშვები ამ დროს რეალურ დროს და ადგილს სცდებიან და ახალ შესაძლებლობებს ცდიან, მოქმედებენ საკუთარი, შინაგანი მოტივაციით, სადაც მათი ყურადღება ქმედებებზეა მიმართული და არა შედეგზე.

საგანმანათლებლო პროცესში ბავშვის და უფროსის როლი თანაბრადაა გადანაწილებული. საგანმანათლებლო პერსონალი, აღიარებულია როგორც თანაშემოქმედი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას მიერ შერჩეული კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება აქტივობების დაგეგმვის პროცესში ოჯახის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ბავშვის ოჯახთან რეგულარული კომუნიკაციით, კონსულტირებით და ინფორმაციის გაზიარებით. კურიკულუმში მოცემულია რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მშობლებმა გააგრძელონ საგანმანათლებლო პროცესი სახლის პირობებში. ხაზგასმულია მშობლის როლი როგორც მხარდამჭერისა და პარტნიორის — განსაკუთრებით სკოლამდელი მზაობის კომპონენტში.

აღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თემთან თანამშრომლობის მნიშვნელობას და აღიარებს მშობლების/მზრუნველების აქტიურ ჩართულობას მოხალისის, პროფესიონალის, ექსპერტის, დამხმარეს როლით ბავშვის სწავლისა და განვითარების პროცესში. ეს ვლინდება:

- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში ოჯახის ჩართულობის გათვალისწინებით;
- თემის წარმომადგენლების პროექტებში და თამაშების სცენარში ჩართულობით;
- კვირის თემატურ გეგმებში ოჯახური და თემის გამოცდილების ინტეგრაციით;
- მშობლებისთვის განკუთვნილი რეკომენდაციებითა და თანამშრომლობის ფორმების დეტალური აღწერით;
- მშობლებთან რეგულარული შეხვედრებით სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით; (მაგალითად: კურიკულუმის, საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობის, ბავშვის მიღწევებისა და პროგრესის შესახებ)
- მშობლების განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობით;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები მოიცავს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ვლინდება ბავშვის მიერ აზრის გამოთქმის, საუბრის, მოსმენის, წიგნებთან ურთიერთობის, დაკვირვების, დათვალიერების, კვლევის, ექსპერიმენტირების, გამოგონების, შექმნის, მრავალფეროვანი მასალების გამოყენების შესაძლებლობებში. ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება ასაკობრივად შესაფერისი ეფექტური გამოცდილებებით კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებისთვის. კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს თითოეული ბავშვის გაცნობას, მათზე თანმიმდევრულ დაკვირვებას ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებების



გამოსავლენად. რის საფუძველზეც ხდება პროცესის ინდივიდუალიზაცია და საგანმანათლებლო პრაქტიკის შესაბამისი დაგეგმვა, რათა საგანმანათლებლო პროცესი ასაკთან ერთად ბავშვების ინდივიდუალური განვითარების დონის შესაბამისი იყოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....
.....
რეკომენდაცია

.....
.....
.....
რჩევა

.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის N ბ27. 6025190001 ბრძანებით დამტკიცებული N1 საბავშვო ბაღისათვის შერჩეული კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან, რაც დასტურდება 2025 წლის 14 ივლისის N1 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომელებისა და მშობლების გაერთიანებული კრების N6 ოქმით. დოკუმენტის თანახმად

შეხვედრის დღის წესრიგის ძირითად საკითხად განსაზღვრულ იქნა კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული კურიკულუმების გაცნობა-გაზიარება. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად კრებაზე განხილული იქნა შერჩეული კურიკულუმები და მათი შერჩევის კრიტერიუმები.

ააიპ ხონის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის №27. 60251815 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაღა-ბაღების გაერთიანების კურიკულუმი შერჩევის, შეფასების, გაზიარების და განვითარების მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია კურიკულუმის გაზიარების დაინტერესებული მხარეები, რომლებსაც წარმოადგენენ მშობლები და დაწესებულების პერსონალი.

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ გაზიარება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, ასევე დასტურდება ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაღა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის №27.6025192001 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაღა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღა-ბაღებში „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ თანახმად შემუშავებულ 2025–2026 სასწავლო წლის საკომუნიკაციო გეგმაში მეორე აქტივობად დაგეგმილი ჩანაწერით – სექტემბრის თვეში მშობლებისთვის შერჩეული კურიკულუმების გაცნობის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის Nბ27. 6025190001 ბრძანება;
2. „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 03 ივლისის Nბ27.6025184001 ბრძანება
3. „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის Nბ27.60251815 ბრძანება ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
4. კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 04 ივლისის N3 კრების ოქმი;
5. კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 08 ივლისის N4 კრების ოქმი;
6. ხონის N1 საბავშვო ბაღის თანამშრომელთა და მშობელთა 2025 წლის 14 ივლისის #6 გაერთიანებული კრების ოქმი;
7. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის Nბ27.6025192001 ბრძანება ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაგა-ბაღებში „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ დამტკიცების შესახებ;

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში – მეთოდური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ნაწილი I, „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში -- პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: აღმზრდელი იყენებს ერთ კვირაზე გაწერილ მიმდინარე გეგმებს, რომლებიც ყოველკვირეულად დგება და მოიცავს, როგორც საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების, ასევე, ინდივიდუალიზაციის კომპონენტს. პროექტზე მუშაობისას აღმზრდელი დაგეგმვის იგივე, მიმდინარე ფორმას იყენებს და პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებსა თუ გამოწვევებს მიმდინარე დაგეგმვის ყოველკვირეულ ცხრილში ანაწილებს. კურიკულუმიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ბაღმა გრძელვადიანი გეგმა შეადგინოს წლიურად, კვარტლურად ან წელიწადში ორჯერ. „სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში“ კი ითვალისწინებს, მოკლევადიან - ერთი კვირის დეტალურ და გრძელვადიან - ერთი თვის ზოგადი ხასიათის გეგმას.

„ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის №27.60251903 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით“ განსაზღვრული, გეგმების პერიოდულობა და ხანგრძლივობა შემდეგნაირია: გაერთიანებაში შემუშავებული და დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული გეგმები არის მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (წლიური). აღნიშნული შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობასა და ხანგრძლივობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის Nზ27.60251903 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის შესაბამისად, გრძელვადიანი გეგმა იქმნება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი (ან საბავშვო ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პერსონალი და ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი). მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც



უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს მეთოდისტი ან საბავშვო ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი.

დაწესებულებაში მოკლევადიანი გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია, რაც მტკიცდება „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის Nბ27.60251903 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით“, დაწესებულებაში ვიზიტის დროს საგანმანათლებლო პერსონალის მიერ წარმოდგენილი მოკლევადიანი გეგმის ნიმუშითა და გასაუბრებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....
.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის №27.60251903 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის” შესაბამისად, დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი;
- აღმზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის (ფსიქოლოგის) პორტფოლიო,
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები.

აღნიშნული დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებს და ინტერესებს რაც ვლინდება :დღის განრიგით, რომელიც ჯგუფში მიმდინარე პროცესებს აღწერს თანმიმდევრულად და ისე არის აწყობილი, რომ იძლევა ცვლილებების საშუალებას. დღის განრიგი ბავშვებს ეხმარება, დაცულად იგრძნონ თავი, საგანმანათლებლო პერსონალს კი ხელს უწყობს უკეთესად დაგეგმონ დღე, სწორად გაანაწილონ დრო, მოემზადონ შესაბამისი აქტივობისა თუ გამოწვევისთვის; აღმზრდელის პორტფოლიოთი, რომელიც მოიცავს დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს და რეფლექსურ ჩანაწერებს. მოკლევადიან კვირის გეგმებში არსებული კვირის ანალიზის გრაფაში მიმდინარე კვირის დასრულების შემდეგ აღმზრდელის ჩანაწერებით/გაანალიზებით, რითიც გამოიკვეთება ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის №27.60251973 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი (აღმზრდელის წლიური სამოქმედო) გეგმების ფორმებით, რომელიც მოიცავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს; სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოთი, რომელიც მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....
.....
.....

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია ააიპ ხონის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის #60251903 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით“.

ეს დოკუმენტებია:

- დღის განრიგი;
- აღმზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის (ფსიქოლოგის) პორტფოლიო;
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები.

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც ვლინდება:

აღმზრდელის პორტფოლიოს საშუალებით, რომელიც მოიცავს დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს და რეფლექსურ ჩანაწერებს. მოკლევადიან კვირის გეგმებში არსებული ინდივიდუალიზაციის გაწერით, ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები.

- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოების საშუალებით, რომლებიც დაწესებულებაში იწარმოება ყველა ბავშვისთვის მატერიალური ფორმით და მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის შეფასების ჩანაწერებს (განვითარების კითხვარი ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით), ბავშვის ნამუშევრებს;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს საშუალებით, რომელიც მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული როგორც „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“-ს , ასევე „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ კურიკულუმების მიხედვით თამაში და თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია და დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფურად, როგორც შენობაში ასევე გარე სივრცეში.

აღნიშნული ასევე დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ჯგუფებში გამოკრული ვიზუალური დღის განრიგით, ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის შექმნილ კვირის გეგმის ფორმებით, რომელიც მოიცავს აღმზრდელის მიერ გასათვალისწინებელ ტრანზიციის გრაფას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში სააღმზრდელო ჯგუფის ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად, რაც დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. ეს თამაშებია: დრამატული და წარმოსახვითი, შემოქმედებითი, კვლევითი, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური, კონსტრუქციული, თამაში რომელიც ბავშვის მიერ არის ინიცირებული და თამაში, რომელიც უფროსის მიერ არის ინიცირებული. დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში ასევე გამოყოფილია მოსასვენებელი და განმარტოების სივრცეები, რაც საშუალებას მისცემს ბავშვს, სურვილის შემთხვევაში განმარტოვდეს და ინდივიდუალური თამაშით დაკავდეს.

დაწესებულების ეზოში ბავშვებს საშუალება აქვთ მოძრავ თამაშებში მიიღონ მონაწილეობა, თუმცა გარე სივრცე არ არის დაყოფილი სათამაშო სივრცეებად, რაც ბავშვს ხელს შეუწყობს მრავალფეროვან თამაშებში მიიღონ მონაწილეობა. ეზოში განთავსებულია მხოლოდ ორი, ეზოს სათამაშო ინვენტარი – სასრიאלო.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

.....
.....
.....

რეკომენდაცია

რეკომენდირებულია დაწესებულების გარე სივრცე/ ეზო მოეწყოს იმგვარად, რომ ბავშვებს საშუალება ქონდეთ სხვადასხვა თამაშებში ჩართვის საშუალება, როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფურად.

რჩევა

სასურველია დაწესებულების გარე სივრცე ეზო დაიყოს ფუნქციურ სივრცეებად:

დრამატული თამაშების სივრცე, სადაც ბავშვები სამხარეულოს ძველი ჭურჭლის საშუალებით, ბალახისა და სხვა ბუნებრივი მასალის გამოყენებით მოამზადებენ „საჭმელს“, გაუმასპინძლებიან ერთმანეთს, ითამაშებენ „სტუმრობანას“, „დედაშვილობანას“, იქნებიან პატარა მხარეულები, მოაწყობენ „კაფეს“ და ა.შ.

სახელოსნოს სივრცე, სადაც ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ ხელოვნების აქტივობებით დაკავდნენ. ხატონ, ფოთლების, ხავსის, ბალახის საშუალებით დაამზადონ კოლაჟები, გირჩებისა და კენჭების საშუალებით შექმნან მათთვის სასურველი ნივთები და ა.შ.

განმარტოების სივრცე, სადაც შეიძლება განთავსდეს მაგალითად ტოტებისგან აწყობილი პატარა ქოხი, ფარდული, ან კარავი, სადაც ბავშვს საშუალება ექნება დაათვალიეროს ჯგუფიდან გატანილი წიგნები, ან უბრალოდ საკუთარი ფანტაზიით ითამაშოს, მაგალითად თოჯინით, რომელსაც დაადინებს, გამოუცვლის აჭმევს და ა. შ. აქედან გამომდინარე, სასურველია ამ სივრცეშიც მოთავსდეს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, როგორიცაა მაგალითად პატარა მაგიდა და სკამი, ძველი ტელეფონი, რადიო, კედლის საათი და სხვა.

მოდრავი თამაშების სივრცე – რომელიც მოეწყობა სწორ, ბალახით ან სპეციალური საფარით დაფარულ ადგილას, სადაც ბავშვები შეძლებენ მოძრავ თამაშებში ჩართვას, როგორიცაა დამალობანა, დაჭერობანა, კლასობანა, გაშეშობანა და ა. შ.

სასურველია ამ სივრცეში განთავსდეს სხვადასხვა ზომის ბურთები, ლახტი, ჰულაჰუპი და სხვა.

ეზოში მოეწყოს პატარა ბოსტანი, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ თავად დარგონ მცენარეები, დათესონ სხვადასხვა ბოსტნეულის თესლი, შემდეგ თავად იზრუნონ მცენარეებსა და ბოსტნეულის ნერგებზე. ამისათვის სასურველია ამ სივრცეში განთავსდეს ბავშვის ზომის ნიჩბები, ფოცხი, თოხი, სარწყავი და ა. შ, რომლის გამოყენებითაც პატარები დაამუშავებენ მიწას, შემოუბარავენ და მორწყავენ მცენარეებს.



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ, ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა არის რელევანტური და უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის №27.60251903 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსის ორგანიზებას. დოკუმენტის თანახმად მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით. საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღებასა და აღნიშნული რესურსების შეძენას გაერთიანება ახორციელებს სპეციალური სქემისმიხედვით. საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ

ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით. ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის განსაზღვრულ მექანიზმთან ერთად გაერთიანებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული მექანიზმი სგარდა, გაერთიანება ასევე იყენებს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს, როგორიცაა:

ა) მოგროვება;

ბ) დონაცია;

გ) დამზადება.

დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს და მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით კურიკულუმთან ერთად, ხოლო შემენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვის და პირდაპირი გზით.

დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა, რომელიც დამტკიცებულია „ა(ა)პ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის N27.6025190001 ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....
.....

.....
რეკომენდაცია

.....
.....

.....
რჩევა



.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ კურიკულუმების შესაბამისი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა, რომელიც დამტკიცებულია „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის Nბ27.6025190001 ბრძანებით.

„ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის Nბ.27.60251965 ბრძანებით დამტკიცებულ ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესში არის შემდეგი ჩანაწერი: საგანმანათლებლო რესურსი განისაზღვრება მოქმედი კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში „მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა“.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მოწყობისთვის დაწესებულებას გააჩნია საგანმანათლებლო რესურსი, რაც აუცილებელია 2-6 წლის ბავშვების განვითარებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებაში არსებული ჯგუფის ოთახების აქტივობათა ცენტრები აღიჭურვოს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსით, როგორც სპეციფიკური (სხვადასხვა ტიპის სამაგიდო თამაშები, მანიპულაციები, თოჯინები, საბავშვო ჭურჭელი, მანქანები, სათამაშო სამზარეულო და ა.შ.) ასევე ღია მასალებით, როგორიცაა ბუნებრივი და მეორადი რესურსი (სხვადასხვა ფერის ბოთლის სახურავები, სხვადასხვა ზომის პლასტმასის ქილები, მუყაოს ყუთები, ფერადი ქსოვილი, გირჩები, კურკები, ნიჟარები, კენჭები, ბუმბული, ღილები, სხვადასხვა ბურღულეული და ა.შ.)

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას განსაზღვრავს შემდეგნაირად: ორგანიზებული, სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი, მყუდროდ მოწყობილი ოთახი, ხის ფაქტურის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით და მყუდრო ეზო, რომელიც ასევე სხვადასხვა სივრცეებად არის დაყოფილი და ბავშვებს მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარი თამაშების შესაძლებლობებს უქმნის. ძლიერი უამინდობის შემთხვევაში ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა, ბაღის შენობაში დახარჯონ ენერგია: ირბინონ, იხტუნონ, იძრომიან. ამისათვის მათ აქვთ დარბაზი, სადაც სპორტული ინვენტარის გარდა, უბრალოდ, თავისუფლად სარბენი სივრცე აქვთ. დარბაზშივე არის შესაძლებელი სხვადასხვა ტიპის აქტივობის ჩატარება, იქნება ეს მუსიკა, დრამა, ცეკვა თუ იატაკზე ხატვა.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში ჯგუფური ოთახები დაყოფილია შემდეგ ცენტრებად: წრეზე შეხვედრის, დრამატული, კონსტრუქციული, ხელოვნების, სამაგიდო თამაშების, მეცნიერების, სენსორული, წიგნიერების, წყნარი სივრცე. ჯგუფის ოთახებში თაროები ღია და ბავშვისთვის ხელმისაწვდომია. თუმცა კარადებსა და კედლებზე საჭირო ვიზუალური მინიშნებები არ არის საკმარისი რომ ბავშვს გაუადვილდეს, როგორც ნივთების მოძებნა ასევე მათი დახარისხება. დათვალიერებით დადგინდა ასევე, რომ ჯგუფურ ოთახებში არსებული ინვენტარი (ღია თაროები, კარადები, მაგიდები, სკამები) მეტწილად ჭრელია, მკვეთრი კონტრასტული ფერებით შეღებილი.

დაწესებულებაში არსებობს დარბაზი, სადაც ბავშვებს საშუალება აქვთ უამინდობის დროს ბაღის შენობაში დახარჯონ ენერგია, იხტუნონ, ირბინონ, თუმცა დარბაზი არ არის აღჭურვილი სხვადასხვა მოძრავის თამაშებისათვის საჭირო ინვენტარით, როგორიცაა მაგალითად: ბურთი, ლახტი, ჰულაჰუპი, სხვადასხვა სპორტული თამაშების ინვენტარი.

დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა არ არის კურიკულუმის შესაბამისი, რაც ვლინდება შემდეგში: ეზო არ არის დაყოფილი სხვადასხვა ფუნქციურ სივრცეებად, როგორიცაა: დრამატული, მოძრავი, სენსორული (საქვიშე), სივრცე განმარტებისთვის, სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის, მცენარეების ბაღი/ბოსტანი, სახელოსნო სივრცე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.



რეკომენდაცია

1. რეკომენდირებულია დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში მოეწყოს ფუნქციური სივრცეები როგორიცაა: დრამატული, მოძრავი, სენსორული (საქვიშე), სივრცე განმარტოებისთვის, სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის, მცენარეების ბაღი/ბოსტანი, სახელოსნო სივრცე და თითოეული აღიჭურვოს შესაბამისი მასალითა და ინვენტარით.
2. რეკომენდირებულია დაწესებულების დარბაზი, მოძრავი და სპორტული აქტივობების სივრცე, მოეწყოს დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად.

რჩევა

სასურველია დაწესებულების ჯგუფურ ოთახები აღიჭურვოს ნეიტრალური ფერის, ხის ფაქტურის ავეჯით.

სასურველია დაწესებულების გარე სივრცე ეზო დაიყოს ფუნქციურ სივრცეებად:

დრამატული თამაშების სივრცე, სადაც ბავშვები სამზარეულოს ძველი ჭურჭლის საშუალებით, ბალახისა და სხვა ბუნებრივი მასალის გამოყენებით მოამზადებენ „სადილებს“, გაუმასპინძლებიან ერთმანეთს, ითამაშებენ „სტუმრობანას“, „დედაშვილობანას“, იქნებიან პატარა მზარეულები, მოაწყობენ „კაფეს“ და ა.შ.

სახელოსნოს სივრცე, სადაც ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ ხელოვნების აქტივობებით დაკავდნენ. ხატონ, ფოთლების, ხავსის, ბალახის საშუალებით დაამზადონ კოლაჟები, გირჩებისა და კენჭების საშუალებით შექმნან მათთვის სასურველი ნივთები და ა.შ.

განმარტოების სივრცე, სადაც შეიძლება განთავსდეს მაგალითად ტოტებისგან აწყობილი პატარა ქოხი, ფარდული, ან კარავი, სადაც ბავშვს საშუალება ექნება დაათვალიეროს ჯგუფიდან გატანილი წიგნები, ან უბრალოდ საკუთარი ფანტაზიით ითამაშოს, მაგალითად თოჯინით, რომელსაც დაადინებს, გამოუცვლის აჭმევს და ა. შ. აქედან გამომდინარე, სასურველია ამ სივრცეშიც მოთავსდეს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, როგორიცაა მაგალითად პატარა მაგიდა და სკამი, ძველი ტელეფონი, რადიო, კედლის საათი და სხვა.

მოდრავი თამაშების სივრცე – რომელიც მოეწყობა სწორ, ბალახით ან სპეციალური საფარით დაფარულ ადგილას, სადაც ბავშვები შეძლებენ მოძრავ თამაშებში ჩართვას, როგორიცაა დამალობანა, დაჭერობანა, კლასობანა, გაშეშობანა და ა. შ.

სასურველია ამ სივრცეში განთავსდეს სხვადასხვა ზომის ბურთები, ლახტი, ჰულაჰუპი და სხვა.

ეზოში მოეწყოს პატარა ბოსტანი, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ თავად დარგონ მცენარეები, დათესონ სხვადასხვა ბოსტნეულის თესლი, შემდეგ თავად იზრუნონ მცენარეებსა და ბოსტნეულის ნერგებზე. ამისათვის სასურველია ამ სივრცეში განთავსდეს ბავშვის ზომის ნიჩბები, ფოცხი, თოხი, სარწყავი და ა. შ, რომლის გამოყენებითაც პატარები დაამუშავებენ მიწას, შემოუბარავენ და მორწყავენ მცენარეებს.

.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ, ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა არის რელევანტური და უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას განსაზღვრავს შემდეგნაირად:

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, დარბაზში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება თამაშზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით, საგანმანათლებლო ცენტრების არსებობით, ბავშვის ხუთი სფეროს განვითარების შესაძლებლობით, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, როგორც ჯგუფში ასევე ეზოში ბავშვისთვის თავისუფლად ხელმისაწვდომობით, განსაზღვრულია ასევე მრავალფეროვნება, დარბაზი უზრუნველყოფს მსხვილი მოტორიკის განმავითარებელი თამაშებისა და ფიზიკური განვითარების რესურსებს. როგორც სათამაშო სივრცეები, ასევე რესურსებიც ფუნქციურად განსხვავდება ერთმანეთისგან. სათამაშო სივრცეები შევსებულია მიზნობრივად და შინაარსობრივად შესაბამისი რესურსით. ბავშვებისთვის ფიზიკური გარემო ფუნქციური და პროგნოზირებადია.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულების ჯგუფური ოთახები დაყოფილია სხვადასხვა აქტივობის ცენტრებად, თითოეულ ცენტრში ბავშვისათვის ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებულია შესაბამისი რესურსი მაგალითად დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში გამოყოფილ წიგნიერების ცენტრში ვხვდებით: ასაკისთვის შესაფერის წიგნებს – ზღაპრები, ილუსტრირებული ენციკლოპედიები პატარებისთვის, ლექსების კრებულები. სენსორულში – გეომეტრიულ სხეულებს, და სხვადასხვა ბუნებრივ მასალებს (ნიჟარები, კენჭები, ფოთლები). ხელოვნების ცენტრში ბავშვებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებულია ფერადი ფანქრები, საღებავები, ფურცლები, და სხვა მასალები. დრამატულ ცენტრში – როლური თამაშების ნივთები. მაგალითად, როლური თამაშისთვის თითოეულ ჯგუფში განთავსებულია სხვადასხვა ტანისამოსი, დიდი ზომის ფეხსაცმელები, ქუდები, ჩანთები.

დაწესებულების გარე სივრცე/ეზო არ არის დაყოფილი ფუნქციურ ცენტრებად და შესაბამისად არ არის აღჭურვილი საჭირო რესურსით.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

.....
.....
.....

რეკომენდაცია

1. რეკომენდირებულია დაწესებულების გარე სივრცე/ეზო აღიჭურვოს შესაბამისი რესურსით.

.....
.....
.....

რჩევა

სასურველია ჯგუფის ოთახებში მოწყობილ აქტივობათა ცენტრებში ორგანიზებულად განთავსდეს ცენტრის შესაბამისი მრავალფეროვანი საგანმანათლებლო, როგორც სპეციფიკური, ასევე ღია, ბუნებრივი და მეორადი რესურსი.

სასურველია ჯგუფის ოთახში მოწყობილ წიგნიერების ცენტრში საბავშვო წიგნებთან ერთად განთავსდეს: ილუსტრირებული ანბანი, ანბანის ლოტო.

სენსორული ცენტრი აღიჭურვოს მრავალფეროვანი ბუნებრივი და მეორადი მასალით, როგორიცაა: გირჩები, კენჭები, ნიჟარები, ბუმბლი, კინეტიკური ქვიშა, მანანის ბურღული, საკვები საღებავები და სხვა, ასევე სხვადასხვა სათამაშოებით, როგორიცაა: პლასტმასის ფიგურები, ნიჩბები და სხვა.

სამაგიდო ცენტრი აღიჭურვოს შესაბამისი მასალით, მაგალითად: სხვადასხვა სახის ლოტო, ფაზლები, სააზროვნო სამაგიდო სათამაშოები, მოზაიკა, დომინო და სხვა, ასევე სხვადასხვა ბუნებრივი და მეორადი მასალა – დასათვლელად, დასახარისხებლად, გასაზომად და სხვა.

სასურველია ცენტრებში არსებული რესურსი განთავსდეს ორგანიზებულად, რაც გულისხმობს რესურსის კონტეინერებში, ყუთებში ან სხვა სათავსოებში გადანაწილებას, რომელსაც ექნება შესაბამისი ვიზუალური მინიშნებები, რათა ბავშვებამა ადვილად მოიძიონ მათთვის სასურველი რესურსი და შემდეგ იცოდნენ სად დააბრუნონ მასალა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ, ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა არის რელევანტური და უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში ჯგუფური ოთახები დაყოფილია შემდეგ ცენტრებად: წრეზე შეხვედრის, დრამატული, კონსტრუქციული, ხელოვნების, სამაგიდო თამაშების, მეცნიერების, სენსორული, წიგნიერების, მოსასვენებელი და განმარტოების სივრცე.

გამომდინარე აქედან ბავშვებს აქვთ მრავალფეროვან თამაშებში ჩართვის საშუალება, რასაც ხელს უწყობს ჯგუფური ოთახის ფიზიკური და დროითი გარემოს მოწყობა. აღნიშნული დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში მყუდრო გარემოა, ბავშვებს აქვთ განმარტოებისა და დასვენების შესაძლებლობა(წყნარი სივრცე, წიგნიერების ცენტრი), ასევე ბავშვს აქვს აქტიურ (კუბურების, დრამატული, სენსორული, მეცნიერების ცენტრი) და პასიურ (სამაგიდო, წიგნიერების ცენტრი) მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული, #1 დაწესებულებისათვის შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს. საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება, შესაბამისი მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი/შეფასება ხარისხის ციკლის - დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება კურიკულუმის მნიშვნელოვანი ნაწილია. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ბავშვის/მთლიანი ჯგუფის

ინტერესებზე, საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებას, რაც ავტომატურად ხელს უწყობს, როგორც კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისა და ღირებულებების, ასევე სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, მრავალფეროვანი ინფორმაციის თანმიმდევრულად შეგროვება, რაც მათი განვითარებისა და სწავლის პროგრესზე დაკვირვების საშუალებას მოგვცემს.

„ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის №27.60251903 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-8 მუხლის თანახმად საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, დოკუმენტის თანახმად, ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული პროცესია. დაწესებულებას ამ მიმართულებით დანერგილი აქვს თანმიმდევრული პრაქტიკა.

დაკვირვებისა და შეფასებისათვის დაწესებულება იყენებს შემდეგ მეთოდებს:

ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) მოკლე კითხვარები;

გ) ჩეკლისტები

შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით და დანართის სახით ახლავს დაწესებულების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესს“

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....
.....
.....
რეკომენდაცია
.....
.....
.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის №27.60251903 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;

ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;

გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

დაწესებულებაში ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახის ჩართულობით. ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

შეფასება ემსახურება:

- თითოეული ბავშვის ინტერესის გამოვლენას;
- თითოეული ბავშვის საჭიროების გამოვლენას;



- თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....
.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასების შედეგების გაანალიზება და გამოყენება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის/მოდულიზაციისთვის, ვლინდება „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის №27.60251903 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-8 მუხლის, მე-10 პუნქტის შესაბამისად. დოკუმენტის თანახმად ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება დაწესებულებაში ხორციელდება:



- ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა /კორექტირების გზით;
- გ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს ;
- ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....
.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



ბავშვის შეფასების პროცესში ჩართულია ოჯახი, რაც დასტურდება „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის №27.60251903 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-თ. დოკუმენტის მე-9 მუხლის შესაბამისად, დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას, კერძოდ დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის /კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას და ბავშვის შეფასების შედეგების განხილვას ბავშვის მშობელთან /კანონიერ წარმომადგენელთან ახორციელებს ინდივიდუალურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....
.....
.....
რეკომენდაცია

.....
.....
.....
რჩევა

.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.,,ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის №27.60251903 ბრძანება

2. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი („ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის N827.60251903 ბრძანებით დამტკიცებული)
3. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის N827.60251965 ბრძანება;
4. „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის N827.6025190001 ბრძანება;
5. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის სანიმუშო ჩამონათვალი;

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირის მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის N827.60251903 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-11 მუხლის შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება ხორცილდება



საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვებზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე.

კურიკულუმის შეფასება ეფუძნება შემდეგი მახასიათებლების /ასპექტების/კომპონენტების შეფასებას:

- პროცესის დაგეგმვა
- განხორციელებული აქტივობები
- რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა და თამაშებისათვის გამოყოფილი დროის მოცულობა;
- ბავშვებზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება
- გამოყენებული მიდგომები(ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა მოდელირება)
- აღმზრდელის სტრატეგიები

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა



.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
.....

2. დაწესებულება ანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის N827.60251903 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-11 მუხლის შესაბამისად დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება სისტემატიური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების ძლიერ მხარეებს, გამოწვევებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას და რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული იმფორმაცია პერიოდულად (წელიწადში ერთხელ) ანალიზდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული შეფასების გუნდის მიერ და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება, როგორც დოკუმენტების ფორმის ისე შინაარსობრივი ცვლილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....
.....
.....
რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.,,ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის N827.60251903 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი”

2. გასაუბრება

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის №27.6025192001 ბრძანებით, აღნიშნული წესის თანახმად გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 29 ივლისის №27.60252102 ბრძანებით დამტკიცებულია „საკომუნიკაციო გეგმა“. გეგმაში განსაზღვრული აქტივობები დაგეგმილია მხოლოდ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან თანამშრომლობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში გარე აუდიტორიაში მშობლების/კანონიერ წარმომადგენლების გარდა განსაზღვრული აქვს ადგილობრივი საზოგადოების/თემის წარმომადგენლები, სფეროში მოღვაწე კოლეგები, მუნიციპალიტეტის მერია, დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლები, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა. საკომუნიკაციო გეგმაში არ არის გაწერილი მათთან თანამშრომლობის აქტივობები. ინდიკატორი მოითხოვს, რომ დაწესებულებამ წინასწარ დაგეგმოს აქტივობები, როგორც მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, ასევე თემთან თანამშრომლობისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის არარსებობის დაკმაყოფილებული

.....
.....
.....

რეკომენდაცია

რეკომენდირებულია დაწესებულებამ წინასწარ დაგეგმოს აქტივობები, როგორც მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, ასევე თემთან თანამშრომლობისთვის.



რჩევა

ხარისხის ციკლი - დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გაუმჯობესება მოითხოვს დაწესებულებამ წინასწარ გააზრებულად და მიზანმიმართულად დაგეგმოს აქტივობები, გამომდინარე აქედან, სასურველია დაწესებულებამ საკომუნიკაციო გეგმაში გაწეროს თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ დაგეგმილი აქტივობები. მაგალითად ექსკურსიები, პროექტები მათი ჩართულობით, დაგეგმოს/განსაზღვროს მათთვის სასურველი პიროვნების მოწვევის საკითხი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ, ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა არის რელევანტური და უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის Nბ27.6025192001 ბრძანებით, აღნიშნული წესის თანახმად გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 29 ივლისის Nბ27.60252102 ბრძანებით დამტკიცებულია „საკომუნიკაციო გეგმა“. საკომუნიკაციო გეგმით მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან თანამშრომლობისთვის განსაზღვრულია აქტივობები, მათ შორის ისეთი აქტივობები რომელიც შეიძლება ჩაითვალოს კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა

ჩართულობის წახალისებად, თუმცა საკომუნიკაციო გეგმაში არ არის ჩანაწერი თემის ჩართულობასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე.

საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი–ს მე–6 მუხლში დაწესებულებას აღნიშნული აქვს შენიშვნების/ წინადადებების ყუთის გამოყენება, რაც იგივე იდეებისა და შემოთავაზების ყუთია და ადგილზე ვიზიტისას მსგავსი ყუთი დაფიქსირდა ჯგუფური ოთახების შესასვლელებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რეკომენდირებულია დაწესებულებამ წინასწარ დაგეგმოს წამახალისებელი აქტივობები, როგორც მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, ასევე თემთან თანამშრომლობისთვის.

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ, ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა არის რელევანტური და უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის Nზ27.6025192001 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი–ს მე-4 მუხლის თანახმად საკომუნიკაციო არხების შერჩევისას გაერთიანება ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: სამიზნე აუდიტორიის საჭიროებებს, რესურსებს (მათ შორის ფინანსურ ხელმისაწვდომობას); კომუნიკაციის შინაარსსა და სიხშირეს; უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას და საჭიროების შემთხვევაში კონფიდენციალურობის დაცვის შესაძლებლობას.

დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე საკომუნიკაციო არხები, როგორიცაა: პირისპირ შეხვედრები; დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის/პლატფორმების გამოყენებით; მატერიალური კორესპონდენცია; საინფორმაციო დაფები; მოკლე ტექსტური შეტყობინებები; სატელეფონო ზარები; ელექტრონული ფოსტა და სოციალური მედიის დახურული ჯგუფები;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....
.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის Nზ27.6025192001 ბრძანება;
2. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 29 ივლისის Nზ27.60252102 ბრძანება;
3. დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი;
4. საკომუნიკაციო გეგმა;
5. გასაუბრება;

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის Nზ27.6025192001 ბრძანებით, აღნიშნული წესის თანახმად გაერთიანების დირექტორის



2025 წლის 29 ივლისის Nბ27.60252102 ბრძანებით დამტკიცებულია „საკომუნიკაციო გეგმა“. გეგმაში განსაზღვრულია მხოლოდ ერთი აქტივობა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ოჯახის ცნობიერების ამაღლების უზრუნველსაყოფად, კერძოდ ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, თუმცა საკომუნიკაციო გეგმაში, მშობელთა ცნობადობის ამაღლების მიზნით, დაწესებულებას სხვა აქტივობები არ აქვს გაწერილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

.....
.....
.....
რეკომენდაცია

რეკომენდირებულია დაწესებულებამ საკომუნიკაციო გეგმაში, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით განსაზღვროს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებული აქტივობები, მაგალითად, ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გარდა დაგეგმოს ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობა/გაზიარება და სხვა.

რჩევა

.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ, ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა არის რელევანტური და უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.



2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვის შეფასების პროცესში ჩართულია ოჯახი, რაც დასტურდება „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის №27.60251903 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-თ. აღნიშნული დოკუმენტის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში. აღნიშნული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად დაწესებულებაში ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახის ჩართულობით. ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლის შესაბამისად საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდი ასევე ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას, კერძოდ დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის /კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას და ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან /კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა



.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად დაწესებულება იყენებს თემში არსებულ სხვადასხვა რესურსს. მაგალითად, საგანმანათლებლო პერსონალი გეგმავს თემატურ აქტივობებს თემში არსებული რესურსის გამოყენებით: აწყობს ექსკურსიებს, ბავშვები სტუმრობენ სკოლას, იწვევს ბაღში სხვადასხვა ორგანიზაციაში დასაქმებულ პირებს. ბავშვის სკოლაში ტრანზიციისათვის ბაღი აქტიურად იყენებს სოფელში არსებულ სკოლას.

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის Nბ27.6025192001 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ – ს თანახმად გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 29 ივლისის Nბ27.60252102 ბრძანებით დამტკიცებულია „საკომუნიკაციო გეგმა“. გეგმაში განსაზღვრული აქტივობები დაგეგმილია მხოლოდ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან თანამშრომლობისთვის. საკომუნიკაციო გეგმაში არ არის გაწერილი თემთან თანამშრომლობის აქტივობები, შესაბამისად არ ჩანს თუ როგორ და რა რესურსს გამოიყენებს დაწესებულება თემთან თანამშრომლობისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.



რეკომენდაცია

1. რეკომენდირებულია დაწესებულებამ წინასწარ დაგეგმოს აქტივობები, თემთან თანამშრომლობისთვის და განსაზღვროს თემში არსებული საჭირო რესურსი, რომელსაც გამოიყენებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ, ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა არის რელევანტური და უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის Nზ27.6025192001 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს, მე-6 მუხლში გაწერილია განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა

კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისთვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად ბაგა-ბაღი იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს:

ა) კითხვარები;

ბ) შენიშვნების/წინადადებების ყუთი;

გ) ღია შეხვედრები;

საჭიროების შემთხვევაში, უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დაწესებულება ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით განახორციელებს შესაბამის ცვლილებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის Nზ27.6025192001 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“;
2. „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის Nზ27.60251903 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“;
3. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 29 ივლისის Nზ27.60252102 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმა“;

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოდგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

სტატუსის მამიებლის მიერ წარმოდგენილია ორგანიზაციის სტრუქტურა/ორგანოგრამა დანართი N8-სახით, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 31 ივლისის N27.6025212001 ბრძანებით და ასახულია თითოეული პოზიცია.

დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას, რის მტკიცებულებადაც წარმოდგენილია საშტატო ნუსხა, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის დადგენილება N24 „ხონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურეობრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის დადგენილება N21 „ხონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ და ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2023 წლის 29 მარტის N27.6023088001 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს დაწესებულებაში დასაქმებული პირების მართვასა და მათ სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს .

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 18 ივლისის N27.6025199001 ბრძანებით დამტკიცებულ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“ -ს მუხლი N7 (სამუშაო აღწერილობა) განსაზღვრულია;

- თანამდებობის/პოზიციის დასახელება;
- სტრუქტურული ერთეული (არსებობის შემთხვევაში);
- შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები) და პასუხისმგებლობები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართი N2-ით.
- ანგარიშვალდებულება და შეთავსების საკითხები;
- სხვა დამატებითი მოთხოვნები.



აღნიშნული წესის შესაბამისად, ხონის N1 საბავშვო ბაღში დასაქმებულია შემდეგი პერსონალი: ბაგა ბაღის გამგე, პირველი ცვლის 5 აღმზრდელი, მეორე ცვლის 5 აღმზრდელი, 5 აღმზრდელის თანაშემწე (ძიძა) , 1 ექთანი, 1 მუსიკის მასწავლებელი, 1 მწე, 2 მზარეული, 1 მეეზოვე-დამლაგებელი, 1 დარაჯი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რის მტკიცებულებადაც წარმოდგენილია ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 18 ივლისის N27.6025199001 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“ , რომლის დანართებადაც წარმოდგენილია ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის დადგენილება N24 „ხონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურეობრივი ინსტრუქციების,

ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის დადგენილება N21 „ხონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ და ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2023 წლის 29 მარტის N27.6023088001 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელიც ასევე მოიცავს სტრუქტურული ერთეულისა და პერსონალის ფუნქციებს, შიდა რეგულაციებს, თანამდებობრივი ინსტრუქციებს და შეთავსების საკითხებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რაც დასტურდება ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის დადგენილება N23 „ხონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების



მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, ხონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 25 დეკემბრის დადგენილება N21 „ხონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ და ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2023 წლის 29 მარტის N27.6023088001 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით, სადაც განსაზღვრულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

დადგენილი კვალიფიკაცია შესაბამისია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, რაც ასევე დასტურდება პერსონალის პირადი საქმეების ადგილზე შესწავლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს არ აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია და სტატუსის მამიებლის მხრიდან არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები. ინტერვიუსას დაწესებულების ხელმძღვანელობამ გამოხატა მზაობა და აღინიშნა, რომ სამომავლოდ გეგმავენ შესაბამისი პერსონალის გადამზადებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პერსონალის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციით აღჭურვა და მათი გადამზადება

რჩევა

- სასურველია დაწესებულებამ საგანმანათლებლო პერსონალის პოზიციაზე გამოცხადებულ ვაკანსიაში, საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნაწილში, წინასწარ განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის არსებობა ან შესაბამისი პოზიციაზე დასაქმების შემთხვევაში, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს მისი გადამზადება.
- სასურველია, საგანმანათლებლო პერსონალის თითოეული წევრისთვის ყოველწლიურად ახლდებოდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციები შესაბამისი სწავლებით, სიმულირებით, ტრენინგით და სხვა.

-

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ, ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა არის რელევანტური და უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 18 ივლისის №27.6025199001 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის“ სახით. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი შესაბამისია კანონმდებლობის მოთხოვნებთან, მოიცავს IV თავს და არეგულირებს შემდეგ საკითხებს: პერსონალის ორგანიზება/დაგეგმვის პროცესი, ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესი, შესრულებული სამუშაოს მართვა და სხვა.

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2023 წლის 29 მარტის №27.6023088001 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი არეგულირებს შემდეგ საკითხებს: სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შესვენების და დასვენების დრო, შვებულება, მივლინება, შრომის ანაზღაურება, დასაქმებულის სამსახურში გამოუცხადებლობა, დაგვიანება ან/და ადრე წასვლა, წახალისება, დისციპლინური პასუხისმგებლობა, დასკვნითი დებულებები და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს გაფორმებული არ აქვს ხელშეკრულებები საგანმანათლებლო პერსონალთან და არ მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს.

არსებული შეუსაბამოების აღმოსაფხვრელად, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაწერილია 24 თვეზე, მოიცავს რელევანტურ აქტივობებს, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსებითა და პასუხისმგებელ პირი/პირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად აქტივობათა განხორციელება და არსებული შეუსაბამოების აღმოფხვრა, რომელიც დაარეგულირებს საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობათა ჩამონათვალს.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის შერჩევი/დანიშვნის საკითხები რეგულირდება (ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 18 ივლისის №27.6025199001 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით. სადაც მუხლი 8 „კადრების მოზიდვა და შერჩევა“ და მუხლი 9 „გაერთიანების პერსონალის შერჩევა“, უშუალოდ არეგულირებს პერსონალის შერჩევასთან

დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ: თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

- ობიექტურობა – შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;
- გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას და შერჩევას;
- გაერთიანება ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას.

პირი გაერთიანების პერსონალის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება პირდაპირი დანიშვნის გზით ან კონკურსის(ღია/დახურული) საფუძველზე, შერჩევის ეტაპზე გაერთიანება ეყრდნობა ამ კონკრეტული პოზიციისთვის შემუშავებულ სამუშაო აღწერილობას.

ღია კონკურსის ჩატარება ხორციელდება შემდეგი ეტაპების გავლით:

- ა) გაერთიანების მიერ ვაკანსიის შესახებ განაცხადის მომზადება;
 - ბ) კონკურსანტის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა;
 - გ) კომისიის ფორმირება;
 - დ) ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
 - ე) წარმოდგენილი განაცხადების დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და დოკუმენტების შესწავლა;
 - ვ) კანდიდატთა შეფასება და საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება.
- აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



.....
.....
.....
რეკომენდაცია

.....
.....
.....
რჩევა

.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის საკითხები რეგულირდება (ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 18 ივლისის №27.6025199001 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით, სადაც მუხლ 18-ში „ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია“, გაწერილია ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის მექანიზმები:

- ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;
- ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;
- ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;
- მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;



- საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;
- მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს გაერთიანებაში;
- უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

ამავე წესში მითითებულია, რომ გაერთიანება აწარმოებს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასა და მტკიცებულებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....
.....
რეკომენდაცია

.....
.....
.....
რჩევა

.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის პრინციპზე, რაც იკვეთება დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში. დაწესებულებას გაცხადებული აქვს, რომ გუნდურობა არის მისი ერთ-ერთი ღირებულება, ხოლო ხედვაში გამოტანილი აქვს როგორც ბავშვების, ასევე თანამშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, რომელიც ასევე მოიაზრებს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და განვითარებას. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის/ადაპტაციის მექანიზმი, რომელიც მრავალფეროვან ეტაპებსა თუ აქტივობებს მოიცავს. ადგილზე ვიზიტის და ინტერვიუს დროს, თანამშრომლები ერთმანეთის მიმართ ავლენდნენ გულისხმიერ და კოლეგიალურ დამოკიდებულებას, ცდილობდნენ საკუთარი პრაქტიკის გაზიარების დროს, ხაზი გაესვათ თავიანთი კოლეგების შრომისმოყვარეობასა და გუნდური მუშაობის პრინციპზე. დაწესებულებაში მოქმედებს გუნდური მუშაობის პრინციპი, რაც ასევე ვლინდება სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებაში, რომელიც დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ხორციელდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

3.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის საკითხები რეგულირდება (ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 18 ივლისის №27.6025199001 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის“ თავი IV „შესრულებული სამუშაოს მართვა“-შესაბამისად, სადაც აღნიშნულია, რომ გაერთიანება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე გაერთიანება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. გაერთიანების მიერ განხორციელებული შეფასების პროცესის მხარეები არიან შესაფასებელი პირი, შემფასებელი პირი და გაერთიანების ხელმძღვანელი.

გაერთიანების შეფასების სისტემა შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგი ასპექტების შეფასებას:

- ა) უნარები;
- ბ) დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი;
- გ) რესურსები და ინსტრუმენტები;
- დ) სამუშაო გარემო;



ე) კარიერული განვითარება;

ვ) სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსი;

ზ) აღიარება და მოტივაცია;

თ) უკუკავშირი და კომუნიკაცია;

ი) ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა.

ასევე საჭიროებათა მოკვლევა ხორციელდება შემდეგი მეთოდ(ებ)ის გამოყენებით:

ა) წყვილების შედარების მეთოდი;

ბ) კითხვარი;

გ) მართვა მიზნების მიხედვით;

დ) შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ;

ე) თვითშეფასება;

ვ) გასაუბრება;

ზ) სხვა.

შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპებია:

ა) დაგეგმვა;

ბ) შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება;

გ) შედეგების ანალიზი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, რომლის მტკიცებულებაც წარმოდგენილია ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 18 ივლისის №27.6025199001 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, სადაც **მუხლი 20** „თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება“ აღნიშნულია, რომ პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას გაერთიანება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც გაერთიანების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.

პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი მეთოდები:

- ა) ტრენინგი;
- ბ) ქოუჩინგი;
- გ) მენტორინგი;
- დ) პროექტები;
- ე) დელეგირება;

ვ) სამუშაოს გამრავალფეროვნება;

ზ) თვითგანვითარება;

თ) კონსტრუქციული უკუკავშირი;

გაერთიანების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში/პროფესიული განვითარების გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულების მხრიდან, წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მიერ ბეჭდით დამოწმებული ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების 2025-2026 სასწავლო-სააღმზრდელო წლის პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ აქტივობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 18 ივლისის №27.6025199001 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“ განსაზღვრავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებს. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია გაერთიანების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. გაერთიანებას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება:

- ა) პერსონალის განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დაფიქსირებული ინიციატივების გათვალისწინებით;
- ბ) გაერთიანება პეროიოდულად ახდენს პერსონალის გადამზადება, პროფესიულ ღონისძიებებსა და ტრენინგებში მონაწილეობის გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1) დანართი N9 -ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 18 ივლისის N27.6025199001 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“ ;
- 2) დანართი N2 -ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2023 წლის 29 მარტის N27.6023088001 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
- 3) დანართი N2 - ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის დადგენილება N24 „ხონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურეობრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“;
- 4) დანართი N2 -ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის დადგენილება N21 „ხონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ;
- 5) დანართი N2 -ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის დადგენილება N23 „ხონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ;
- 6) დანართი N8 -ორგანოგრამა.
- 7) ინტერვიუ

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები, რაც დასტურდება ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის №27.6025206001 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების პროცესების და ხარისხის უზრუნველყოფის დამტკიცების შესახებ“ - დოკუმენტით, რომელიც მოიცავს დაწესებულების იდენტიფიცირებულ მართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს და მათ აღმწერებს, რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების მექანიზმსა და სამოქმედო გეგმას, შეფასების განხორციელებისა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს და სხვა. კერძოდ:

მართველობითი:

- სტრატეგიული დაგეგმვა;
- ხარისხის უზრუნველყოფა.

ძირითადი:

- კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება;
- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;
- ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა ამორიცხვა);
- სსსმ ბავშვების მომსახურება;
- ოჯახთან და თემთან ურთიერთობა

დამხმარე:

- ადამიანური რესურსების მართვა;
- მატერიალური რესურსების მართვა;

- საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
- პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა;
- ფინანსური რესურსების მართვა;
- სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა;
- ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა;
- სხვა სერვისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი პროცესების მართვას უზრუნველყოფს ხარისხის ციკლის შესაბამისად, რაც დასტურდება ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის №27.6025206001 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ ხონის

